# მსოფლიოში პირველად

## ავტომატური სადგური „ზონდი-5“ დედამიწაზე დაბრუნდა

1968 წლის 15 სექტემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს ავტომატური კოსმოსური სადგური „ზონდი-5“ დედამიწა—მთვარე—დედამიწა ტრასით. შვიდი დღე-ღამის ფრენის შემდეგ სადგური დაბრუნდა დედამიწაზე.

**მსოფლიოში პირველად საბჭოთა კოსმოსური აპარატი, რომელმაც შემოუფრინა მთვარეს, წარმატებით დაბრუნდა დედამიწაზე მეორე კოსმოსური სიჩქარით და ჩამოიტანა დიდი ღირებულების მეცნიერული ინფორმაცია.**

1968 წლის 21 სექტემბერს 18 საათსა და 54 წუთზე მოსკოვის დროით ავტომატური კოსმოსური სადგური შემოვიდა დედამიწის ატმოსფეროში მეორე კოსმოსური სიჩქარით — დაახლოებით 11 ათასი მეტრი წამში — და 19 საათსა და 08 წუთზე დაეშვა ინდოეთის ოკეანის აკვატორიის გაანგარიშებულ რაიონში.

წყალზე დაშვება მოხდა წერტილში, რომლის კორდინატებია სამხრეთის განედის 32 გრადუსი და 38 მინუტი და აღმოსავლეთის გრძედის 65 გრადუსი და 33 მინუტი. სადგურის მოძრაობა ატმოსფეროში აეროდინამიკური დამუხრუჭების მონაკვეთზე მიმდინარეობდა ბალისტიკური ტრაექტორიით.

სადგურის დაშვება აეროდინამიკური დამუხრუჭების შემდეგ სრულდებოდა საპარაშუტო სისტემის გამოყენებით. ავტომატური სადგური სამეცნიერო ხელსაწყოებთან ერთად 22 სექტემბერს აიტანეს საბჭოთა კავშირის საძიებო-საშველი სამსახურის ხომალდზე.

ფრენის დროს ავტომატურმა სადგურმა „ზონდ-5“-მა განახორციელა:

— მთვარის გარშემოფრენა;

— კოსმოსური სივრცის მეცნიერული კვლევა მთვარის რაიონში;

— დედამიწაზე დაბრუნება მეორე კოსმოსური სიჩქარით და რბილად დაჯდომა გაანგარიშებულ რაიონში.

ფრენის პროცესში იხვეწებოდა სადგურის სისტემები და აგრეგატები ტრაექტორიაზე მანევრირებისა და დედამიწაზე დაბრუნებისთვის. სადგურის ფრენის მართვის სისტემებმა და მისი ტრაექტორიის პარამეტრების გაზომვის რადიოტექნიკურმა საშუალებებმა უზრუნველყვეს დასახული ამოცანების გადაწყვეტა.

მთლიანად შესრულდა კოსმოსური სივრცის მეცნიერული კვლევისა და ავტომატური სადგურის „ზონდ-5“-ის ბორტის სისტემებისა და აგრეგატების კოსმოსური გამოცდის პროგრამა.

ავტომატურ სადგურ „ზონდ-5“-ის დედამიწა — მთვარე—დედამიწა ტრასით წარმატებით ფრენა და გაანგარიშებულ რაიონში დაბრუნება საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის თვალსაჩინო მიღწევაა, გადაწყვეტილია ახალი მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემა და დასახულია ფართო პერსპექტივები კოსმოსური სივრცისა და მზის სისტემის პლანეტების შემდგომი კვლევისათვის ავტომატური კოსმოსური სადგურებით, რომლებიც დაბრუნების შემდეგ ჩამოიტანენ კვლევის მასალებს დედამიწაზე.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 189 (3673)

1968 წ. 25 სექტემბერი. ოთხშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.


## გენერალური რეპეტიცია

**მეხიკო, 24 სექტემბერი.** მხოლოდ 17 დღე გვაშორებს XIX ოლიმპიური თამაშების გახსნამდე, მაგრამ აქ ყველაფერი მზადაა მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენთა სასპარეზოდ. და აი ოლიმპიურ სტადიონზე მოხდა თამაშების საზეიმო გახსნა. ნუ გაიკვირვებთ! ეს იყო გენერალური რეპეტიცია, რომელსაც 50 ათასი მაყურებელი დაესწრო. ჰაერში აფრინდა 600 მტრედი, 5 ათასი საჰაერო ბუშტი.

ოლიმპიადის „გახსნის“ დროს თამაშების დედაქალაქის სტადიონებსა და სპორტულ მოედნებზე მიმდინარეობდა ოლიმპიელთა ვარჯიში. სპორტსმენები ძალზე კარგად გრძნობენ თავს, ეტყობა მაღალმთიანეთი მაინცდამაინც „საშიში მეტოქე“ არ ყოფილა. მეხიკოში ჩასვლისთანავე „სულწასულმა“ ოლიმპიელებმა უკვე გახსნეს თავიანთი კარტები, როცა მაღალი შედეგები აჩვენეს, მაგრამ მთავარი წინაა. სპორტის სპეციალისტების აზრით, თამაშების მიმდინარეობისას ბევრი მსოფლიო მიღწევა დაემხობა.

## ახალი ამბები

● **ნაირობი, 23 სექტემბერი.** ტომსონ-ფოლსში გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაზე სახელგანთქმულმა კ. კეინომ 1500 მეტრზე რბენაში აჩვენა 3.39,9. ეს დრო მაღალმთიანეთში ნაჩვენებ ყველა შედეგზე უკეთესია (შეჯიბრება მიმდინარეობდა 2000 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან).

● **ლოს-ალამოსი, 23 სექტემბერი.** 17 წლის ამერიკელმა მძლეოსანმა გოგონამ მოიპოვა ამ ქვეყნის ოლიმპიური გუნდის საგზური, როცა შერჩევით შეჯიბრებაზე 80 მეტრზე თარჯრბენში დისტანცია დაფარა 10,8 წამში.

● **სტოკჰოლმი, 23 სექტემბერი.** ოლიმპიურმა ჩემპიონმა 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში გ. რულანტსმა (ბელგია) მოიგო შვეციის ქალაქ სედერტელიეში გამართული ტრადიციული შეჯიბრება. მან 7.740-მეტრიანი დისტანცია დაფარა 22.44,0-ში. რულანტსმა უკან ჩამოიტოვა 53 მეტოქე, რომელთა შორის ბევრი სკანდინავიის ქვეყნების საუკეთესო სტაიერები იყვნენ.

● **ლუბლინი, 23 სექტემბერი.** პოლონეთის ამ ქალაქში გამართულ იუნიორ მძლეოსანთა შეჯიბრებაზე ჰ. ბრეზენიკმა (გდრ) ბირთვი ჰკრა 18,47 მეტრზე. ეს შედეგი ოდნავ ჩამორჩება იუნიორთა ევროპულ მიღწევას.

● **ლონდონი, 23 სექტემბერი.** წიდიან ბილიკებზე მოტორბოლაში მსოფლიო გუნდური პირველობა, რომელიც „უემბლის“ სტადიონზე გაიმართა, მოიგეს სპიდვეის ინგლისელმა ოსტატებმა. მათ დააგროვეს 40 ქულა, რომელთაგან 12 გუნდს მოუტანა მსოფლიო ჩემპიონმა ი. მაუგერმა. II ადგილზე არიან შვედები — 30. III-IV ადგილებს იყოფენ პოლონელი და ჩეხოსლოვაკიელი სპორტსმენები. საბჭოთა მრბოლელები ამჯერად ფინალში ვერ გავიდნენ.



სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

◆ **ჰონკონგი, 24 სექტემბერი.** ამ ქვეყნის ოლიმპიურ გუნდში გამოვა 17 სპორტსმენი — მოცურავენი, მსროლელები და იახტსმენები.

◆ **მადრიდი, 24 სექტემბერი.** მართალია, ესპანეთის სახელს მეხიკოში 118 სპორტსმენი დაიცავს, მაგრამ მიმომხილველთა აზრით, ამ ქვეყნის წარგზავნილებს ოლიმპიური მედლების მოპოვების არავითარი შანსი არა აქვთ.

◆ **ლონდონი, 24 სექტემბერი.** მეხიკოში აკრედიტებულ ჟურნალისტებში თავისებური რეკორდსმენი რეიტერის სააგენტოს სპეციალური კორესპონდენტი, 64 წლის ვ. მორგანი იქნება. მექსიკის ოლიმპიადა მისთვის რიგით მერვე იქნება. მორგანი თვითონ იყო ოლიმპიელი, მონაწილეობდა 1928 წლის თამაშებში. შემდეგ იგი დაესწრო ყველა მომდევნო ოლიმპიურ თამაშებს, როგორც სპორტული ჟურნალისტი.



●

აი, როგორ იქნა გატანილი პირველი გოლი ალმაათელთა კარში. გავაშელმა ზუსტი დარტყმით წერტილი დაუსვა დინამოელთა ლამაზ შეტევას. ქვევით — მეორე გოლის ავტორი — ხურცილავა ბურთთან ერთად ბადეშია გახვეული.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

(მატჩის ანგარიში იხ. მე-3 გვ.).

●

### გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 25 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კიევი) | 30 | 18 | 10 | 2 | 48—19 | 46 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 29 | 17 | 6 | 6 | 48—31 | 40 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 29 | 14 | 10 | 5 | 45—28 | 38 |
| ცსკა | 29 | 13 | 9 | 7 | 36—26 | 35 |
| „დინამო“ (მინსკი) | 28 | 13 | 9 | 6 | 31—21 | 35 |
| „დინამო“ (თბილისი) | 29 | 12 | 10 | 7 | 35—17 | 34 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 30 | 13 | 8 | 9 | 42—29 | 34 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 28 | 10 | 11 | 7 | 39—34 | 31 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 28 | 10 | 11 | 7 | 28—26 | 31 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 29 | 8 | 12 | 9 | 27—38 | 28 |
| ასკ (როსტოვი) | 29 | 9 | 9 | 11 | 35—37 | 27 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 29 | 8 | 10 | 11 | 28—30 | 26 |
| „ზარია“ (ლუგანსკი) | 30 | 8 | 10 | 12 | 17—33 | 26 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 29 | 8 | 9 | 12 | 19—26 | 25 |
| „ნეფტჩი“ (ბაქო) | 29 | 8 | 8 | 13 | 29—40 | 24 |
| „არარატი“ (ერევანი) | 29 | 9 | 5 | 15 | 27—38 | 23 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 30 | 7 | 8 | 15 | 25—36 | 22 |
| „კაირატი“ (ალმა-ათა) | 29 | 6 | 7 | 16 | 18—35 | 19 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 29 | 6 | 7 | 16 | 28—50 | 19 |
| „დინამო“ (კიროვაბადი) | 28 | 4 | 9 | 15 | 16—32 | 17 |

## გუშინ...

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა „ა“ კლასის II ჯგუფის III ქვეჯგუფის ფეხბურთელთა გუნდების კალენდარული მატჩი. ადგილობრივმა „ლოკომოტივმა“ მიიღო ბათუმის „დინამო“. შეხვედრა დამთავრდა ფრედ—1:1.

მოსკოვში გაიმართა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩი. თამაშობდნენ ადგილობრივი „სპარტაკი“ და ბაქოს „ნეფტჩი“. გაიმარჯვეს მოსკოველებმა 4:3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფავორიტებმა დაყარეს ფარ-ხმალი

... ამრიგად, სპიდვეიში საკავშირო თასის გათამაშების ფინალში ამ სახეობის საუკეთესო გუნდებმა მოიყარეს თავი. მათ შორის ორი — უფის „ბაშკირია" და დაუგავპილსის „ლოკომოტივი" ძვირფას ჯილდოს უკვე ფლობდნენ, „თბილისმა" და ბალაკოვოს „კორდმა" კი პირველად მოიპოვეს თასისთვის გადამწყვეტ ბრძოლაში გამოსვლის უფლება, თანაც „თბილისი" გახლდათ ყველაზე ახალგაზრდული კოლექტივი: დოსააფის რესპუბლიკურმა კომიტეტმა იგი ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის სამზადისში შექმნა.

გამარჯვების მთავარ ფავორიტად მაინც „ბაშკირია" მიაჩნდათ, ვინაიდან ამ გუნდის ღირსების დასაცავად თბილისში ჩამოვიდნენ მსოფლიოს ჩემპიონატების ორგზის ვერცხლის პრიზიორი, სსრ კავშირის ხუთგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ი. პლეხანოვი, სსრ კავშირის ჩემპიონატების ვერცხლის 2 მედლის მფლობელი, მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატში IV ადგილზე გასული სპორტის ოსტატი გ. კურილენკო, მრავალ საერთაშორისო ბრძოლაში ნაწრთობი ოსტატები ბ. კუვანინი, რ. საფაროვი და ვ. იაკიმოვი.

„კორდსაც" მყავს ტიტულიანი მოტოციკლისტები. სპორტის ოსტატებმა ბ. ცეხანოვიჩმა და ვ. კალმიკოვმა საკავშირო აღიარება კარგა ხანია მოიპოვეს. საერთაშორისო შეხვედრების გამოცდილება არც ოსტატობის კანდიდატებს ი. სიბირიოვს, ა. მირონოვს, ვ. გორდეევს აკლიათ.

ერთი სიტყვით, ფინალი მძაფრ და საინტერესო ბრძოლას გვპირდებოდა. „ბაშკირიას" ხელმძღვანელობა ალბათ იოლ გამარჯვებას ვარაუდობდა, როცა გუნდის ლიდერი პლეხანოვი მსაჯთა კოლეგიისთვის წარდგენილ განაცხადში სათადარიგოდ ჩაწერა, რაც საგულისხმო ფაქტია. ისე კი გუნდს უფლება აქვს სათადარიგოთი შეცვალოს ვინც უნდა და როცა უნდა, ოღონდ ეგ არის, ამ სპორტსმენსაც მარტო 4 ცდაში გამოსვლა შეუძლია.

უფელები ტურნირის მსვლელობამ მალე აიძულა გამოეყენებინათ ეს უფლება. პირველსავე ცდაზე „ბაშკირიამ" ნული მიიღო — იაკიმოვს სტარტზევე „გაუსწორდნენ" თბილისელი ოსტატობის კანდიდატი ვ. ბუვაევი, ოსტატი ვ. კალმიკოვი („კორდი") და ოსტატობის კანდიდატი ვ. ვოლსკი („ლოკომოტივი"). გამარჯვებისთვის ბრძოლა ფაქტიურად ამ ტრიომ გამართა. ყველას თბილისელმა აჯობა.

მეორე ცდაზე „თბილისის" ინტერესს გუნდის მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ს. ლიომინიდი იცავდა, „ბაშკირიისას" — კურილენკო, „კორდმა" ცეხანოვიჩი გამოიყვანა. სტუმრებს ნერვებმა უღალატა. ეტყობა, ორივეს დაწინაურება სურდა, რომ მესტარტის ნიშნამდე დაიძრნენ და სათანადოდაც დაისაჯნენ — გაფრთხილება მიიღეს. განმეორებით ლიომინიდიმ სტარტი უხეიროდ აიღო და ჩამორჩა, მაგრამ ვიდრე მეტოქენი 4 წრეს შემოივლიდნენ, მან იმდენი მოახერხა, რომ მეორე ადგილზე გადაინაცვლა და გუნდს 2 ქულა შესძინა. ახლა თბილისს 5 ქულა ჰქონდა, „ბაშკირიას" — 3. შემდეგ ცდაზე თბილისელმა კლემენტიევმა კიდევ ერთი ქულა მოუგო კუვანინს. მეოთხე ცდაზე უფელებმა ბრძოლაში ჩართეს თავიანთი მთავარი ძალა—საფაროვის ნაცვლად პლეხანოვი გამოიყვანეს, მაგრამ მათ ალბათ ესეც არ უშველიდათ, თბილისელი ზელენსკის გამოუცდელობა რომ არა. ზელენსკი საშიშ მეტოქეს, მართალია, „გაექცა" და ბოლო ვირაჟამდე ლიდერობდა კიდევაც, მაგრამ გამოცდილებამ მაინც თავისი გაიტანა — უფელი შიდა წრეზე სიარულით დროს იგებდა, სხვაობას თანდათან ამცირებდა და ფინიშზე წინაც გავიდა. ზელენსკი მეორე ადგილზე დარჩა.

უფელებმა სხვაობა ერთი ქულით შეამცირეს. ალბათ, ამ წარმატებით აღფრთოვანდნენ, რომ შემდეგ ცდაზე პლეხანოვი გამოიყვანეს კლემენტიევის პირისპირ. უფელები ანგარიშში მოტყუვდნენ. ამჯერად გამოცდილებას ახალგაზრდულმა შემართებამ აჯობა.

საერთოდ, ვ. კლემენტიევი მეტისმეტად გაბედული ჭაბუკია, რომელსაც მანძილის კარგი შეგრძნება აქვს. იმის მიუხედავად, რომ სპორტსმენები ასპარეზობენ მოტოციკლეტებით, რომელსაც არც მუხრუჭი გააჩნია და არც სიჩქარის გადამცემი კოლოფი, კლემენტიევი გაზის მომატების ხარჯზე მუდამ დიდი სიჩქარით დაჰქრის, თანაც მოსახვევებში შესანიშნავად ახერხებს მანქანის დამორჩილებას და თბილისის ნახევარფინალებსა და ფინალში არც კი წაუფორხილებია.

პლეხანოვი კლემენტიევს ადრეც შეხვედრია. კარგად იცის მისი ტაქტიკა. ამიტომაც სტარტიდანვე დაწინაურებას შეეცადა და ორჯერ შეცდა. ჯერ ფალსტარტისთვის გააფრთხილეს, შემდეგ წინწასულმა მეტოქეზე კონტროლი დაჰკარგა, ამით კარგად ისარგებლა თბილისელმა და გაასწრო. როცა ცდა დამთავრდა, პლეხანოვმა ახალგაზრდა მოწინააღმდეგეს წარმატება მიულოცა.

როცა ფინალის I ტურის შეხვედრების ნახევარი მიილია, „თბილისი" „ბაშკირიას" 5 ქულით ასწრებდა — 20:15. ეს საკმარი ფორა იყო. მაგრამ უფელები დანებებას როდი აპირებდნენ.

მეორე ნახევარში ბრძოლა უფრო გამწვავდა. ზელენსკი დაეცა და გუნდს ვერაფერი არგო. შემდეგ მისი ბედი ლიომინიდიმ გაიზიარა, ისე რომ, „ბაშკირიამ" თითქოს მდგომარეობა გამოასწორა — დღის ბოლოს იგი მასპინძლებს 1 ქულით ჩამორჩებოდა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ წინასწარი ანგარიშით, ვინაიდან მსაჯთა კოლეგიამ განიხილა „თბილისის" პროტესტი ერთ-ერთი მეტოქის მიერ ლიომინიდის განზრახ წაქცევის თაობაზე და ხელახალი ცდა დანიშნა, რომელიც თბილისელის გამარჯვებით დამთავრდა.

ამრიგად, პირველ დღეს „თბილისმა" 35 ქულა მოაგროვა, „ბაშკირიამ" — 31, „კოდმა" — 21, „ლოკომოტივმა" მხოლოდ—9, მაგრამ მთავარი ბრძოლა ჯერ კიდევ წინ იყო და უფელებს მისი დიდი იმედი ჰქონდათ.

მეორე დღეს „ბაშკირიამ" პლეხანოვი ბრძოლაში თავიდანვე ჩართო. მან, მართალია, მოუგო ბუვაევს, მაგრამ ამით მხოლოდ ერთი ქულით გამოასწორა მდგომარეობა, შემდეგში მასპინძლების უპირატესობა აშკარა გახდა და მათმა ქულათა ჯამმაც თოვლის გუნდასავით იწყო ზრდა. განსაკუთრებით კარგად იასპარეზა კლემენტიევმა, რომელმაც ამ დღის 12 შესაძლებლიდან 12 ქულა აიღო. ლიომინიდიმ 1 ქულა დაჰკარგა. ბოლო ცდებში, როცა უფელები დარწმუნდნენ, რომ „თბილისის" დაწევა შეუძლებელი იყო, პლეხანოვს თავი აღარ შეუწუხებია — სარბიელზე არ გამოვიდა.

საბოლოოდ, „თბილისმა" 74 ქულა მოაგროვა 96 შესაძლებლიდან, მაშინ როცა ტურნირის ფავორიტმა „ბაშკირიამ" 54 ქულას მოუყარა თავი. მესამე იყო „კორდი" — 44 ქულა, „ლოკომოტივი" 20 ქულას დასჯერდა.

„თბილისმა" მოიპოვა სსრ კავშირის თასი სპიდვეიში. ეს უთუოდ დიდი გამარჯვებაა ჩვენი ახალგაზრდული კოლექტივისა, რომელსაც სათადარიგო სპორტსმენიც კი არ ჰყავდა. გუნდის ოთხივე წევრი თავგამოდებით იბრძოდა და დაუფასდა კიდევაც — ამ საინტერესო ტურნირის სანახავად „ლოკომოტივის" სტადიონზე მოსულ 20 ათასამდე მაყურებლის მხურვალე ტაში არ შემწყდარა, ვიდრე თბილისის კვარტეტი თასით საპატიო წრეს უვლიდა.

ტ. კიკნაველიძე,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

* * *



სურათზე: შეჯიბრების მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## ჩვენი ოლიმპიელებ

# ასეთია მისი პირობა

განსაკუთრებით სასიამოვნოა საგაზეთო მასალის წერა ისეთ სპორტსმენზე, რომელიც თავმდაბლობით, შრომისმოყვარეობით და ვაჟკაცობით გამოირჩევა. სწორედ ასეთია ჩვენი გურამ გუდაშვილი, საბჭოთა ოლიმპიური ნაკრების წევრი. იგი ერთადერთი საბჭოთა ოლიმპიელია, რომელიც უნდა შეებრძოლოს საზღვარგარეთის ბადროს მტყორცნელებს ოქროს მედლისთვის ბრძოლაში.

გურამი დაიბადა მაშინ, როცა ჩვენს ქვეყანაში ომის მრისხანე დღეები იდგა. 1941 წლის დამლევს დუშეთის რაიონის სოფელ ჭართალში, ივანე გუდაშვილის ოჯახში ბიჭის შეძენას ზეიმობდნენ. იმ დროს საზეიმოდ ვის ეცალა, მაგრამ მთიელმა გლეხმა მაინც დააქუხა თოფი.

... სპორტში პირველი ნაბიჯიც სოფლის სკოლაში გადადგა. ს. ჩიტაურმა ასწავლა მძლეოსნობის ანბანი. მერე, როცა ჭაბუკმა ბადროს ტყორცნის მიდრეკილება გამოავლინა, მშობლებთან შეთანხმებით, მასწავლებელმა ჭაბუკი შემდგომი დაოსტატების მიზნით თბილისის სპორტულ სკოლა-ინტერნატში გამოგზავნა. წინასწარ ვიტყვით, გუდაშვილმა გაამართლა აღმზრდელის იმედი. მისი და კიდევ რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდის გამოვლინებისთვის იყო, რომ ჩიტაურს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა.

ინტერნატში დუშელი ჭაბუკის დაოსტატებას ხელი მოკიდა შ. კილაძემ. მწვრთნელის გულისხმიერებამ გუდაშვილს არჩეული სახეობა უფრო შეაყვარა და შედეგებიც თანდათან იზრდებოდა. პირველი გამარჯვებაც მალე მოვიდა — მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე 46,98 მეტრი აჩვენა და ჩემპიონი გახდა.

მაგრამ არც ერთი სპორტსმენის გზა არაა ვარდებით მოფენილი და გურამმაც განიცადა მარცხი — მოსწავლეთა 1960 წლის საკავშირო სპარტაკიადაში ინტერნატელ ამხანაგთან, კილაძის მეორე აღსაზრდელთან დუშელ კ. გორძამაშვილთან წააგო, რამაც შემდეგ ბევრად განაპირობა გუდაშვილის სპორტული გზა. გუდაშვილი მეტი ჟინით მოეკიდა წვრთნას. ზედიზედ დაამყარა საშუალო და უფროსი ასაკის ჭაბუკების რეკორდები, რომლებიც რესპუბლიკური რეკორდების ცხრილში დღესაც უცვლელია.

ჭართალელ ჭაბუკს მიღწეული არ აკმაყოფილებდა. როცა თანატო-
ლებში ყველას აჯობა, სა
ლოს მაშინდელი ჩემპიო
რეკორდსმენის გ. ჩადუნე
მარცხება განიზრახა.
ბევრჯერ ახლოსაც იყო,
მუდამ რამდენიმე სანტიმე
ყოფნიდა.

მასწავლებელი და მოწ
ულალავად შრომობდნენ:
ბდნენ ტყორცნის ტექნიკ
ლეებს.

გურამმა ბოლოს ჩა
რეკორდიც დასცა, მაგრა
არც ძველი რეკორდსმენი
ადამიანმა, რომელსაც
ეპყრა რესპუბლიკაში უ
სის სახელი, ასე იოლად ა
იგი. და აი, თბილისში
სტადიონზე გამართულ ტ
ჩადუნელის ბადრო 49 მეტ
დაეცა. გუდაშვილმა დაჰკ
პოვებული რეკორდი. მაგ
სპორტსმენისთვის გულ
გაუტეხია: მის ძალაში
ლი იყო დარწმუნებული.

გადიოდა წლები. გუ
საერთო აღიარება ჰპო
„დინამოს" ცენტრალური
ჩემპიონატში ისახელა თა
საკავშირო ტურნირებში
აღარ უდებდა ფავორიტ
ბადრო კი უფრო და უფ
მიფრინავდა. უკან დარჩა



„დინამო" (მოსკოვი) — „ქრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) 5:1. ეს იყო იოლი და ლამაზი გამარჯვება, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა „დინამოს" მთელი კოლექტივი. ბურთები კი გაიტანეს: კოზლოვმა (2), გუსაროვმა, სიომინმა და ლარინმა. მოსკოველთა კარში გატანილი ერთადერთი გოლის ავტორია კადიროვი.

„დინამო" (კიევი) — „ზენიტი" (ლენინგრადი) 5:2. დიდი ანგარიშით დამთავრდა პრინციპული მატჩი კიევში (პრინციპული იმიტომ, რომ პირველ წრეში ლენინგრადში „ზენიტმა" დაამარცხა ლიდერი). ამ დღის გმირი იყო დაუბერებელი ვეტერანი სერებრიანიკოვი, რომელმაც სამჯერ შეარხია მეტოქის კარის ბადე. თითო ბურთი გაიტანეს მედვიდმა და საბომ. ლენინგრადელთაგან თავი გამოიჩინეს უნანოვმა და ვიუნმა.

„არარატი" (ერევანი) — „პახტაკორი" (ტაშკენტი) 1:0. ერევნელებმა ზედიზედ მეორე გამარჯვება იზეიმეს და ერთგვარად თავი დააღწიეს სახიფათო ზონას. გამარჯვების გოლი ტაშკენტელთა კარში გაიტანა ზანაზანიანმა.

ასკ (როსტოვი) — „ზარია" (ლუგანსკი) 1:1. თავდაპირველად დაწინაურდნენ მასპინძლები (მე-20 წუთზე ბორდოვსკიხი). ზედ შესვენების წინ ლუგანსკელმა კუზნეცოვმა გაათანაბრა ანგარიში, რომელიც მეორე ტაიმში აღარ შეცვლილა.

სსრ კავშირის პირველობა

# ოსტატობა ძალის საპირისპიროდ

თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 23 სექტემბერი.

„დინამო" (თბილისი) — „კაირატი" (ალმა-ათა) 3:0 (2:0).

„დინამო": ურუშაძე, ძოძუაშვილი, რეხვიაშვილი, ხურცილავა, კანთელაძე, პეტრიაშვილი, ილიადი, ასათიანი, მეტრეველი, გავაშელი, მესხი.

„კაირატი": ზუბენცი, დიშლენკო, იშჩენკო, ფედოტოვი, ასილბაევი, დოლმატოვი, კვოჩკინი, ვოლოხი, აბგოლცი, მუსინი, ხიგიზბაევი (ქუიკოვი).

მსაჯი ვ. ბარაშკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 1:0 თბილისელთა სასარგებლოდ.

საკავშირო ჩემპიონატის მოცემულ ეტაპზე ალმაათელთა განწყობას და საბრძოლო სულისკვეთებას განსაზღვრავს სატურნირო ცხრილი. მართალია, ამ ცხრილში „კაირატზე" უფრო დაბლა კიდევ ორი გუნდი დგას, მაგრამ ეს ზონა იმდენად სახიფათოა, ხოლო აუტსაიდერთა მდგომარეობა — ერთნაირი, რომ ყოველ წუთს მოსალოდნელია გადამწყვეტი ცვლილებები. ერთი სიტყვით, არც ტაშკენტის „პახტაკორს" და არც კიროვაბადის „დინამოს", ალმაათელთა მსგავსად, დაბალ ლიგაში გადასვლის შიშით „არ ძინავთ".

სწორედ ეს კრიტიკული მდგომარეობაა იმის მიზეზი, რომ „კაირატი" ჩემპიონატის ყველა დარჩენილ მატჩს ატარებს დიდი ფიზიკური და ნერვული დაძაბულობის ნიშნით. თქვენ ალბათ გახსოვთ გუშინწინდელი მატჩი და სტუმრების უჩვეულო მონდომება, რომელიც ხშირად გადადიოდა ზღვარს. „კაირატი" ნერვიულობდა, იბრძოდა, ფეხბურთელები ხშირად ეკამათებოდნენ მსაჯს, ყოველნაირად ცდილობდნენ მარცხისგან თავის დაღწევას. მაგრამ მათი სურვილი მხოლოდ სურვილად რჩებოდა.

თამამად შეიძლება იმის მტკიცება, რომ 90 წუთის მანძილზე ალმაათელებს არც ერთი, ცოტად თუ ბევრად სახიფათო მომენტი არ შეუქმნიათ. ამის მიზეზი შეიძლება თბილისელთა დაცვის შეთანხმებული თამაში იყო, შესაძლოა მასპინძლების თავდამსხმელთა აქტიურობა, რომელთა მიზეზითაც „კაირატის" კარი მუდმივი საფრთხის წინაშე იმყოფებოდა. ასეა თუ ისე, „დინამო" მატჩის პირველი წუთიდან უკანასკნელამდე მდგომარეობის ბატონ-პატრონი იყო და პირდაპირ უნდა ვთქვათ, ანგარიში ძალთა ობიექტურ შეფარდებას მთლიანად არ ასახავს.

ამ დღეს არ იყო იდეალური სათამაშო პირობები. წვიმამ და სველმა გრუნტმა, რა თქმა უნდა, თავისი დაღი დაასვა ორთავე გუნდის მოქმედებას, მაგრამ პირობებს დინამოელებმა უფრო ადრე და უკეთ აუღეს ალღო და სწორედ ამიტომაც დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწიეს.

პირველი წარმატებას თბილისელებმა მე-10 წუთზე იზეიმეს. მესხის უძლიერესი ტყვიასავით დარტყმა კარგად ვერ მოიგერია ზუბენცმა და გავაშელმა ლამაზი დარტყმით გახსნა ანგარიში. საერთოდ უნდა ითქვას, რომ თბილისელთა ახალგაზრდა ფორვარდი ამ დღეს მეტად მწვავედ და აქტიურად მოქმედებდა. მე-19 წუთზე ხურცილავას ზუსტი დარტყმის შემდეგ ცხადი გახდა, რომ თბილისის დინამოელებმა თამაშის ბედი თავის სასარგებლოდ გადაწყვიტეს. 2:0 ამის საიმედო გარანტია იყო.

მეორე ნახევარში თბილისელები საერთო უპირატესობას ინარჩუნებდნენ. რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი გამოუყენებელი დარჩა, მაგრამ ანგარიში მაინც შეიცვალა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც „კაირატის" მცველებმა უხეშად „მოცელეს" მეტრეველი საჯარიმო მოედანზე და დაზარალებულმა ზუსტად გამოიყენა პენალტი — 3:0.

ნ. გუგუშვილი.

# საფინალო საასპარეზოდ 20 წამით ადრე

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 23 სექტემბერი.

„ტორპედო" (ქუთაისი) — „შახტიორი" (დონეცკი) 2:1 (1:0).

„ტორპედო": კოტრიკაძე, წვერავა, ებრალიძე, შერგელაშვილი, ჩხაიძე, ახიტაშვილი (გადელია), ზარია, ნაჭყებია, ჰოლაძე, ვეკუა, ჰითანავა.

„შახტიორი": გოვოროვი, პოლაკი, ვ. სტრელცოვი, გოლოვკო, გუბიჩი, გრიგორიევი, კოროლი, კლიარუკოვი (ზახაროვი), ევსეენკო, შალიჩევი, გორლოვი (გლადილინი).

მსაჯი ვ. ლიპატოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 1:0 დონეცკელთა სასარგებლოდ.

მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისის „ტორპედოს" ამ დღეს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდა, გუნდი მაინც დამაჯერებლად თამაშობდა. პირველი 45 წუთის მანძილზე უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ. ქუთაისელებმა „შახტიორის" კარის აღება მე-5 წუთზევე სცადეს. მაგრამ ზარიას დარტყმა არც ისე ძლიერი აღმოჩნდა და გოვოროვი ბურთს საკმაოდ იოლად დაეუფლა.

4 წუთის შემდეგ ჰითანავამ კარგად გაიყვანა გარღვევაზე ვეკუა, რომლის დარტყმა მცირე მანძილით აცდა კარს. მალე მან იგივე გააკეთა, მაგრამ გოვოროვი ამჯერადაც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა.

ტორპედოელთა შეტევები სულ უფრო მწვავე ხასიათს იღებდა, რასაც დონეცკელები ეპიზოდური კონტრშეტევებით პასუხობდნენ. მე-20 წუთზე „შახტიორის" კარი მძლავრი შტურმის ქვეშ მოექცა. ბურთს მცველები გაჭირვებით იგერიებდნენ. და აი, სრულიად მოულოდნელად, ბურთი მიიღო დონეცკელთა მცველებს შორის მყოფმა ვეკუამ და ძნელი მდგომარეობიდან ძლიერად გაგზავნა კარისკენ. ამჯერად გოვოროვი უძლური აღმოჩნდა და ანგარიშიც გაიხსნა — 1:0.

ვეკუას კიდევ ერთხელ მიეცა კარის აღების შესაძლებლობა. იგი მშვენივრად გავიდა საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთზე, მაგრამ კვლავ იმარჯვა დონეცკელთა მეკარემ: მან თავგანწირული ნახტომით ააცალა ბურთი ფორვარდს. საგოლე მომენტები დონეცკელებსაც ჰქონდათ. 34-ე წუთზე კოტრიკაძემ აიღო ევსეენკოს მიერ დარტყმული ბურთი. ტაიმის მიწურულში ტორპედოელთა მეკარემ კიდევ ერთხელ ისახელა თავი — იმავე ევსეენკოს დარტყმა კუთხურზე მოიგერია.

ჩინებულად ჩაატარა მატჩი, განსაკუთრებით კი მისი პირველი ნახევარი, ვეკუამ. იგი დროულად გადიოდა ბურთზე, სწორად ირჩევდა ადგილს და, როგორც წესი, ჩაგრავდა თავის მეურვეს — გოლოვკოს.

მეორე ნახევრის პირველი 15 წუთი დონეცკელთა მთლიანი უპირატესობით აღინიშნა. ამ ხნის მანძილზე კოტრიკაძეს, სულ ცოტა, ოთხჯერ მოუხდა თამაშში ჩარევა. მან ორჯერ ზედიზედ ძნელი ბურთი აიღო, ხოლო ერთხელ მცველებმა გაჭირვებით უვნებელყვეს თავისი კარი. 75-ე წუთზე შალიჩევი თავისუფლად შეიჭრა ქუთაისელთა საჯარიმოში და ახლო მანძილიდან გაათანაბრა ანგარიში — 1:1.

ქულის დაკარგვის მოსალოდნელმა საფრთხემ ტორპედოელები უფრო გააქტიურა. ფორვარდები და ნახევარდაცვა ამოქმედდა ორგანიზებულად, მწვავედ. 73-ე წუთზე ზარიას დიაგონალური დარტყმა მცირე მანძილით აცდა მიზანს. ზედიზედ კუთხურზე იგერიებს გოვოროვი ჰოლაძის ძლიერ დარტყმებს. დროზე აუღეს ალღო მცველებმა ჰითანავა — ვეკუას ორსვლიან კომბინაციას...

დრო უმოწყალოდ იწურებოდა. და მაშინ, როცა მატჩის დამთავრებას 20 წამი აკლდა, გადელიამ კარგად ისარგებლა პოლაკის შეცდომით, შეიჭრა საჯარიმოში და გაიტანა გოლი, რომელმაც მასპინძლებს გამარჯვება და 2 ქულა მოუტანა.

შ. ნიჟარაძე.
(ჩვენი კორ.).

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები „ბ" კლასის ზონებში. მოგვყავს იმ შეხვედრათა შედეგები, რომლებიც არ გამოგვიქვეყნებია:

III ზონა

„არაზი" (ნახიჭევანი) — „შრ. რეზერვები" (კურსკი) 0:1, „დაშკინი" (ზაქათალა) — „სპარტაკი" (ორიოლი) 0:0, „ტექსტილშჩიკი" (მინგეჩაური) — „სპარტაკი" (ბელგოროდი) 1:0, „ალაზანი" (გურჯაანი) — „კოლოსი" (ალექსანდროვსკაია) 2:2, „უროჟაი" (ლაბინსკი) — „ტორპედო" (არმავირი) 1:0, „ხიმიკი" (ბელაკოვო) — „ხიმიკი" (ნევინომისკი) 3:0, „ტრუდი" (ენგელსი) — „უროჟაი" (სლავიანსკი) 2:0, „ენერგია" (ვოლჟსკი) — „უროჟაი" (ლენინგრადსკაია) 1:0.

IV ზონა

„მაღაროელი" (ჭიათურა) — „ტრუდი" (კასპიისკი) 1:2, „სევანი" (ოქტემბერიანი) — „მერცხალი" (მახარაძე) 1:0, „ლერნაგორცი" (კაფანი) — „შუქურა" (კობულეთი) 0:0, „არაქსი" (ეჩმიაძინი) — „გურია" (ლანჩხუთი) 2:1, „უროჟაი" (გროზნო) — „მაშუკი" (პიატიგორსკი) 0:3, „კოლხეთი" (ფოთი) — „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) 1:0.

...ნი ზღვარი. შემდეგ ოსტატო... ნორმატივსაც (54 მეტრი) გა...ბიჯა, 57 მეტრსაც...

...სრ კავშირის ხალხთა IV სპარ...ადისთვის სამზადისი საქართ...ლოს მძლეოსნებმა განსაკუთრე...ი ინტენსიურად დაიწყეს. რეს...ბლიკური ფედერაციის წინადა...ბით, დაინერგა წვრთნაში სპე...ლიზაცია და გურამი ახალი ...ვრთნელის, სსრ კავშირის დამ...ურებული მწვრთნელის ბ. დი...ოვის „ხელში" აღმოჩნდა.

...მარშან საკავშირო სპარტაკია...მდე კისლოვოდსკში გამართულ ...იბრებაში მისი ბადრო 58,36 ...ტრზე დაეცა. ეს მარტო საქართ...ლოს რეკორდი კი არა, საერთა...რისო კლასის შედეგიც იყო.

...სპარტაკიადამ, შემდეგ საერთა...რისო შეხვედრებში მონაწილე...ამ ქართველ გოლიათს მეტი გა...ცდილება შესძინა. მეხიკოს საგ...რის ხელში ჩაგდების სურვილმა ...ახალი ძალა შემატა და აჰა, ...ოფიც:

...საკავშირო ჩემპიონატი ლენინა...ში. საპრიზო ადგილი და ახალი ...კორდი. შემდეგ წახკაძორი. აქ ...მი უძლიერესი — ვიარახი (ლი...ა), ლიახოვი (მოსკოვის ოლქი) ... გუდაშვილი ერთხელ კიდევ ...ეპოტინებ მეხიკოს საგზურს, მა...ამ ამაოდ. სამაგიეროდ გურამმა ...,30 მეტრი აჩვენა. ასეთი შედე...სთვის მას მანამდე არასდროს ...უღწევია. წახკაძორში გამოცხად... ჩვენი მძლეოსანთა გუნდის ძი...თადი შემადგენლობა. მასში ბა...ოს მტყორცნელ ვაჟებიდან არა... იყო, ვინაიდან ვერც ერთმა ... შეასრულა იააფ-ის ოლიმპი...ი ნორმატივი. თბილისელს ერ... უპირატესობა ჰქონდა: წლევან...დელ სეზონში ყველაზე სტაბილური, მაღალი შედეგების ავტორი გახლდათ.

ამას წინათ, თბილისის მძლეოსანთა შეჯიბრების დაწყების წინა დღით, რესპუბლიკის მძლეოსნობის ფედერაციას მოსკოვიდან აცნობეს: გუდაშვილი მოავლინეთ მეხიკოში წასასვლელად.

გურამი არც აღელვებულა. „დინამოს" სტადიონზე გამართულ ტურნირში ჩვეულებრივი სიდინჯით ჩაება და ერთ-ერთ ცდაზე ბადრო 62,14 მეტრზე გაგზავნა. ამით საერთაშორისო სპორტის ოსტატისა და იააფ-ის ნორმატივი შეასრულა და ლენინგრადელ ვ. ტრუსენიოვის საკავშირო რეკორდს 50 სანტიმეტრი წაუმატა.

ახალ რეკორდსმენს მე იმ დღეს სტადიონზე შევხვდი. წარმატება მივულოცე და სამერმისო გეგმებზე ვკითხე.

— ჩემს ვაჟს, ვეფხიას პირობა მივეცი მეხიკოდან შერცხვენილი არ დავბრუნდე. შეიძლება იქ საპრიზო ადგილი ვერ მოვიპოვო, მაგრამ საბჭოთა კავშირის რეკორდის ჭერს აუცილებლად ავწევ.

ბ. ტახტაროვი,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

* * *

სურათზე: გ. გუდაშვილი.



## გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 25 სექტემბრისთვის

III ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „უროჟაი" (მაიკოპი) | 33 | 21 | 5 | 7 | 52—19 | 47 |
| „შრ. რეზერვები" (კურსკი) | 33 | 19 | 8 | 6 | 41—32 | 46 |
| „სპარტაკი" (ბელგოროდი) | 33 | 18 | 9 | 6 | 57—19 | 45 |
| „ხიმიკი" (ბელაკოვო) | 34 | 16 | 13 | 5 | 38—16 | 45 |
| „დილა" (გორი) | 32 | 17 | 9 | 6 | 55—21 | 43 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 33 | 16 | 7 | 10 | 37—22 | 39 |
| „ტრუდი" (ენგელსი) | 31 | 13 | 9 | 9 | 40—25 | 35 |
| „სპარტაკი" (ორიოლი) | 33 | 11 | 12 | 10 | 36—30 | 34 |
| „ტორპედო" (არმავირი) | 32 | 12 | 10 | 10 | 31—29 | 34 |
| „უროჟაი" (სლავიანსკი) | 33 | 12 | 8 | 13 | 43—34 | 32 |
| „ენერგია" (ვოლჟსკი) | 33 | 11 | 10 | 12 | 31—28 | 32 |
| „ტექსტილშჩიკი" (მინგეჩაური) | 33 | 11 | 10 | 12 | 27—37 | 32 |
| „უროჟაი" (ლაბინსკი) | 33 | 9 | 13 | 11 | 17—40 | 31 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 32 | 11 | 8 | 13 | 35—37 | 30 |
| „დაშკინი" (ზაქათალა) | 32 | 10 | 10 | 12 | 26—42 | 30 |
| „კოლოსი" (ალექსანდროვსკაია) | 32 | 10 | 8 | 14 | 31—38 | 28 |
| „უროჟაი" (სვეტლოგრადი) | 34 | 8 | 12 | 14 | 28—45 | 28 |
| „ხიმიკი" (ნევინომისკი) | 32 | 7 | 11 | 14 | 24—33 | 25 |
| „უროჟაი" (ლენინგრადსკაია) | 32 | 6 | 11 | 15 | 20—37 | 23 |
| „არაზი" (ნახიჭევანი) | 33 | 5 | 8 | 20 | 22—56 | 18 |
| „ურალანი" (ელისტა) | 32 | 2 | 6 | 24 | 23—67 | 10 |

IV ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „გურია" (ლანჩხუთი) | 33 | 18 | 6 | 9 | 54—34 | 42 |
| „ლორი" (კიროვაკანი) | 32 | 15 | 12 | 5 | 35—28 | 42 |
| „სევანი" (ოქტემბერიანი) | 33 | 16 | 8 | 9 | 48—28 | 40 |
| „მაშუკი" (პიატიგორსკი) | 32 | 16 | 7 | 9 | 44—25 | 39 |
| „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) | 32 | 14 | 11 | 7 | 37—20 | 39 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 34 | 16 | 7 | 11 | 52—38 | 39 |
| „არაქსი" (ეჩმიაძინი) | 32 | 16 | 5 | 11 | 35—31 | 37 |
| „შუქურა" (კობულეთი) | 34 | 12 | 13 | 9 | 42—40 | 37 |
| „უროჟაი" (დერბენტი) | 31 | 12 | 11 | 8 | 40—27 | 35 |
| „უროჟაი" (კრიმსკი) | 32 | 11 | 12 | 9 | 39—33 | 34 |
| „ნარზანი" (კისლოვოდსკი) | 31 | 11 | 11 | 9 | 35—27 | 33 |
| „ირისთონი" (მოზდოკი) | 33 | 12 | 8 | 13 | 36—33 | 32 |
| „მაღაროელი" (ჭიათურა) | 33 | 11 | 9 | 13 | 34—35 | 31 |
| „დინამო" (სოხუმი) | 34 | 12 | 7 | 15 | 44—46 | 31 |
| „ენგური" (ზუგდიდი) | 34 | 9 | 13 | 12 | 28—35 | 31 |
| „ტრუდი" (კასპიისკი) | 31 | 12 | 6 | 13 | 32—38 | 30 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 33 | 12 | 5 | 16 | 35—35 | 29 |
| „სპარტაკი" (ცხინვალი) | 32 | 6 | 11 | 15 | 23—40 | 23 |
| „უროჟაი" (გროზნო) | 32 | 6 | 9 | 17 | 32—42 | 21 |
| „ლერნაგორცი" (კაფანი) | 32 | 8 | 5 | 19 | 23—51 | 21 |
| „კახეთი" (თელავი) | 32 | 4 | 8 | 20 | 20—51 | 16 |

# ფავორიტები



ესენი ხარბენ ბილიკებზე ბევრჯერ შეხვედრიან ერთმანეთს. გამარჯვების ხასწორს ხან ერთი ხრიდა თავის მხარეს, ხან მეორე, ზოგჯერ მესამეც. მათ ჭიდილში დამყარებულა ეროვნული, კონტინენტისა და მსოფლიოს რეკორდიც. მ. გამუდი (სურათზე მარცხნივ) ტუნისის გუნდის ერთ-ერთი ლიდერია. ბელგიელ გ. რულანტსსაც (შუაში) კარგად იცნობენ მსოფლიოში. უფრო ახალგაზრდაა ი. ჰააზე (გდრ), მაგრამ ტიტულები არც მას აკლია. ამ „ტრიოს" მეხიკოში გრძელ მანძილებზე რბენაში მართალია, სხვა მეტოქენიც ეყოლებათ, მაგრამ სპეციალისტები მთავარ ფავორიტებად სწორედ გამუდის, რულანტსსა და ჰააზეს თვლიან.



ასეთ ახალგაზრდას სიმაღლეზე ხტომაში ასეთი წარმატებისთვის აქამდე არავის მიუღწევია. თვით მსოფლიო რეკორდსმენი რუმინელი ი. ბალაშიც კი აღიარებს, რომ რიტა შმიდტი (სურათზე), გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ამომავალი ვარსკვლავი, მეხიკოს თამაშების ოქროს მედლის ერთ-ერთი უპირველესი კანდიდატია. რიტას ოლიმპიადაზე ძნელი ბრძოლა ელის (ბევრი ძლიერი მეტოქე ჰყავს), მაგრამ მისი შანსები სხვებისაზე მეტია, ვინაიდან ისე მსუბუქად, ისე მოხდენილად, როგორც შმიდტი, ჯერჯერობით ვერავინ ხტება. რიტამ ხომ არნახულ წარმატებას მიაღწია: ოლიმპიადისთვის სამზადისში ზედიზედ გადაევლო 170, 175, 180 და 185 სანტიმეტრის სიმაღლეზე გადებულ თამასას. იგი ახლაც შესანიშნავ ფორმაშია. გუნდის ხელმძღვანელობას სჯერა მისი გამარჯვებისა, თვითონ კი... თავს იკავებს. ხშირად პასუხობს: სპორტში ყველაფერი ხდება.



უნგრელი ხუთჭიდელი ანდრაშ ბალცო მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონია. თანამედროვე ხუთჭიდელთაგან ასეთ წარმატებას მხოლოდ იგორ ნოვიკოვი დაიკვეხნის. მაგრამ განსხვავება ის გახლავთ, რომ ნოვიკოვი აქტიურ სპორტს ჩამოშორდა, ბალცო კი მეხიკოს ოლიმპიადაში იასპარეზებს და სპეციალისტების აღიარებით, იგი ერთ-ერთი ძირითადი ფავორიტია. თვითონ ბალცო თვლის, რომ ამჟამად მსოფლიოში 4-5 სპორტსმენია, რომლებსაც გამარჯვების დაახლოებით თანაბარი შანსი აქვთ.

# უიმბლდონი-68

ნაკმაოდ დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ჩატარდა უიმბლდონის 1968 წლის ჩოგბურთელთა ტურნირი. ამ ასპარეზობის შედეგები ახლაც სპეციალისტთა მსჯელობის საგანს წარმოადგენს. საქმე იმაშია, რომ უიმბლდონის ტურნირის ორგანიზატორებმა ეს ტრადიციული შეჯიბრება ღია ტურნირად გამოაცხადეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მოყვარულ სპორტსმენებთან ერთად მასში პროფესიონალებიც მონაწილეობენ.

თავდაპირველად ამ იდეამ სპეციალისტთა და ჩოგბურთის მოყვარულთა მხარდაჭერა ვერ ჰპოვა. მათ ეგონათ, რომ ტურნირი პროფესიონალებისთვის „სასიამოვნო გასეირნება" იქნებოდა. მაგრამ შეჯიბრების მსვლელობისას სრულიად საწინააღმდეგო სურათი მივიღეთ, თუმცა პროფესიონალებმა უმეტეს სახეობებში გაიმარჯვეს, მაგრამ მათ ამას მთელი თავისი ტექნიკური არსენალის, გამოცდილების და ძალების სრული დაძაბვის წყალობით მიაღწიეს. ამ ტურნირის შედეგები ცნობილია ყველასთვის. ჩვენ აქ მოვიტანთ რამდენიმე საინტერესო ფაქტს, მწვრთნელების, სპეციალისტებისა და ტურნირის მონაწილეთა აზრს.

უიმბლდონი-68 გრანდიოზული იყო თავისი მასშტაბით. ტურნირში მონაწილეობდნენ წინა ტურნირებში გამარჯვებულნი. აი, ისინიც: ვაჟები — ლუი ჰოადი (1956, 1957 წლებში გამარჯვებული), ალექს ოლმედო (1953), როდ ლეივერი (1961, 1962), როი ემერსონი (1964, 1965), მანუელ სანტანა (1966), ჯონ ნიუკომბი (1967); ქალები — მარგარიტ სმით კურტი (1963, 1965), მარია ბუენო (1959, 1960, 1964), ბილი ჯონ კინგი (1966, 1967). ამას თუ დავუმატებთ იმას, რომ ამ ტურნირში მონაწილეობდა სამოყვარულო სპორტის ყველა ვარსკვლავი, ცხადი გახდება, თუ რა სიძლიერის იყო წლევანდელი ტურნირი.

შეჯიბრების ორგანიზატორებმა შეარჩიეს 16 უძლიერესი მოთამაშე, რომლებიც შესაბამისად „გაფანტეს". მათ შორის მხოლოდ სამი მოყვარული იყო: არტურ ეში (აშშ), სანტანა, ტომ ოკერი (ნიდერლანდები). ეს უკანასკნელი სპეციალისტების აზრით, იყო ერთადერთი, რომელიც შეხვდებოდა პროფესიონალებთან წარმატებით თამაშს.

მაგრამ, აი, დაიწყო თამაში და მასთან ერთად სენსაციებიც. ნ. პილიჩი ორგანიზატორების მიერ მოწყობილი „გაფანტვის" მიხედვით მე-16 ნომერი იყო. მან პირველსავე წრეში წააგო პ. გიბონთან. მესამე წრეში ჰოადი დამარცხდა ავსტრალიელ ბ. ჰევიტთან (ეს ავსტრალიელი სამხრეთ აფრიკაში ცხოვრობს). პანჩო გონსალესმა (№ 8) კი ფარ-ხმალი დაყარა ალექსანდრე მეტრეველთან. როცა როდ ლეივერმა, ამ ტურნირში გამარჯვებულმა, ეს შედეგი გაიგო, თქვა: „თუ ეს ყმაწვილი ასევე გააგრძელებს, იგი ძალზე შორს წავა, მას დიდი მომავალი აქვს".

როგორც ხედავთ, მოყვარულებმა პროფესიონალებს „შავი დღე" დააყენეს. ერთ-ერთმა პროფესიონალმა მომქანცველი ბრძოლის შემდეგ თქვა: „რა თქმა უნდა, კარგია ტურნირში მონაწილეობა, მაგრამ უკეთესი იქნება იგი მალე დამთავრდეს".

დიახ, მოყვარულებმა „შეავიწროეს" პროფესიონალები, მაგრამ ამ უკანასკნელთა გამოცდილებამ და ოსტატობამ მაინც თავისი გაიტანა. როდ ლეივერმა, ბილი ჯონ კინგმა გვიჩვენეს უზადო ოსტატობა ფინალურ ბრძოლებში. გამარჯვა რა მესამედ, ლეივერმა გაიმეორა ფრედ პერის მიღწევა. ეს უკანასკნელი სამჯერ გახდა უიმბლდონის ჩემპიონი 1934, 1935 და 1936 წლებში.

[illegible] ადრე ლეივერმა განაცხადა: „მე ამ თამაშებმა ისე გამიტაცა, რომ სრულიად გადამავიწყდა ფულადი პრემია (4.800 დოლარი), სანამ ვიღაცამ არ მითხრა ამის შესახებ".

როზუელმა, რომელიც გონსალესის მსგავსად მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელია და არასოდეს გაუმარჯვია ამ ტურნირში, განაცხადა: „მე ამ ტურნირში იმ შემთხვევაშიც კი ვითამაშებ, თუ კი მასში არც ერთი ფულადი პრემია არ იქნება".

ამრიგად, პირველი ოფიციალური დიდი ტურნირი პროფესიონალებსა და მოყვარულებს შორის პირველთა გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ ეს გამარჯვება ცხარე ბრძოლებში იქნა მოპოვებული. „მოყვარულებმა გვიჩვენეს, თუ რა რიგად ნიჭიერი სპორტსმენები არიან მათ რიგებში. მაგალითად, ოკერი, მეტრეველი, სანტანა, ჰევიტი და სხვები, მთელი ძალით თამაშის დროს ნებისმიერი მოწინააღმდეგისთვის საშიში არიან", — განაცხადა ერთ-ერთი ამერიკული ჟურნალის ჩოგბურთის ცნობილმა მიმომხილველმა კიმ ჩანპინმა.

# ახალგაზრდობა უტევს



— ნუთუ ერთი ხეირიანი სასროლეთის ღირსი არ არიან ჩვენი რესპუბლიკის სასტენდო სროლის ოსტატები. — ასეთ სამართლიან საყვედურებს ხშირად გაიგონებდით 22 სექტემბერს სამხედრო-სამონადირეო საზოგადოების სასროლეთზე, სადაც თბილისის თასის გათამაშება მიმდინარეობდა.

მართლაც, მექანიზმები უხეიროდ მუშაობდნენ, მსროლელებს სამიზნის მოთხოვნა რამოდენიმეჯერ უხდებოდათ, ხშირად დაზიანებული „თეფშებიც" გამოდიოდა... თბილისის ერთადერთი ბაზა უკეთესად უნდა მუშაობდეს.

ახლა თვით შეჯიბრების შესახებ. ტურნირში ჩვენი დედაქალაქის 28 მსროლელი მონაწილეობდა. მათ შორის 12 სპორტის ოსტატი იყო.

მრგვალ სტენდზე სროლაში კარგად იასპარეზა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა, 19 წლის თემურ მატოიანმა („მონკავშირი"). მან ორი თვის წინ მოსკოვში, საკავშირო ჩემპიონატში პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა. მაშინ 96 სამიზნე დააზიანა 100 შესაძლებლიდან, ახლა კი ეს შედეგი ერთი ქულით გააუმჯობესა და დედაქალაქის თასი მოიპოვა. მას ერთი ქულით ჩამორჩა თანაგუნდელი სპორტის ოსტატი ტ. ქლენტი („მონკავშირი"), III ადგილი წილად ხვდა სპორტის ოსტატს კ. კლდიაშვილს („მონკავშირი") — 94 ქულა.

ადგილიდან სროლაში თავი ისახელა ახალგაზრდა გ. მეფარიშვილმა („მონკავშირი"), საბოლოოდ მან 95 სამიზნე დააზიანა, თბილისის თასიც მოიპოვა და სპორტის ოსტატის ნორმატივიც პირველად შეასრულა. მასთან ქულა წააგო საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ზ. მაჩხანელმა („ლოკომოტივი").

წარმატებას მიაღწია პოლიტექნიკური ინსტიტუტის მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტმა თ. იმნაიშვილმა, რომელმაც 90 სამიზნე დააზიანა და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი. აღსანიშნავია, რომ მან წელს დაიწყო სპორტის ამ სახეობაში წვრთნა.

მისასალმებელია ის ფაქტიც, რომ სასროლეთზე გამოჩნდნენ ახალგაზრდა მსროლელი ქალები. 19 წლის ს. ახალკაციშვილმა („ლოკომოტივი") რამდენიმე ვარჯიშის შემდეგ III თანრიგის შედეგი აჩვენა. დამაკმაყოფილებლად ესროდა 16 წლის ზ. პავლოვაც („მონკავშირი").

ჯ. მოწონელიძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: მეფარიშვილი (მარცხნივ) და მატოიანი ასპარეზობის შემდეგ.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

## უცხოეთის ფეხბურთი

# იტალიელთა გარეშე

როგორც ცნობილია, 6 ნოემბერს რიო-დე-ჟანეიროში გაიმართება საინტერესო ამხანაგური მატჩი ბრაზილიისა და „დანარჩენი მსოფლიოს" ნაკრებს შორის. ამ მატჩის ორგანიზატორთა აზრით, ეს უნდა იყოს „თანამედროვე ფეხბურთის მთელი სილამაზის" დემონსტრაცია. ამ შეხვედრისთვის ახლა ბევრ ქვეყანაში ემზადებიან, ამიტომ დისონანსად გაისმა იტალიის წამყვანი კლუბების „მილანისა" და „ინტერის" განცხადება იმის შესახებ, რომ ისინი ფეხბურთელებს არ გააგზავნიან ბრაზილიაში. „მილანიდან" „დანარჩენი მსოფლიოს" შემადგენლობაში მიწვეულნი იყვნენ: რივერა და შნელინგერი, „ინტერიდან" — ფაკეტი, მაცოლა და დომენგინი.

რატომ არ ანთავისუფლებენ იტალიელები ამ ფეხბურთელებს? ჩვენის აზრით, ორივე კლუბი ვიწრო ინტერესებიდან გამოდის. ისინი მიიჩნევენ, რომ მოგზაურობა ბრაზილიაში ფეხბურთელებზე უარყოფითად იმოქმედებს. ისინი დაჰკარგავენ საბრძოლო რიტმს და ფორმის აღდგენას კი კარგა ხანი დასჭირდება.

## თბილისის სპორტული ცხოვრება

ფეხბურთი. „დინამოს" სტადიონი. სსრ კავშირის პირველობა. „ა" კლასის I ჯგუფი. „დინამო" (თბილისი) — „პახტაკორი" (ტაშკენტი). 26 სექტემბერი. სათადარიგო შემადგენლობანი. 27 სექტემბერი. ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 17 ს.

ფრენბურთი. ქალაქის სპორტკავშირის მოედნები (პლეხანოვის პრ. № 115). თბილისის სპორტკლუბების პირველობა. დასაწყისი 17 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 04232